

STEM ოლიმპიადა 2023 – 2024

გზამკვლევი სკოლებისთვის გუნდების შესაქმნელად

გზამკვლევი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მისი გამოყენება ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის სავალდებულო არ არის. ყველა სკოლას შეუძლია გუნდი შექმნას სასურველი სქემითა და პროცედურით. გზამკვლევი მომზადებულია STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია კომაროვის სკოლის პროფესიონალებისგან.

STEM ოლიმპიადაში სკოლებს თითო გუნდით მონაწილეობა შეუძლიათ, რის გამოც შესაძლოა სკოლებში წარმოიშვას გუნდის წევრების შერჩევის პრობლემა. ასეთ შემთხვევაში STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი სკოლებს ურჩევს ჩაატარონ შიდა შესარჩევი წერები და ასე გამოავლინონ სკოლის გუნდის წევრები.

რა უნდა გავითვალისწინოთ შიდა შესარჩევი წერის ჩატარებისას?

1. ოლიმპიადის პირველ (თეორიულ) ტურზე სკოლის გუნდიდან **სამმა მოსწავლემ მათემატიკის** დავალებები უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სკოლის გუნდში სამი „მათემატიკოსი“ მოსწავლე უნდა მოხვდეს. აღნიშნული მოსწავლეები უნდა იყვნენ მე-7 დან მე-11 კლასის ჩათვლით.
სასურველია:
ა) გუნდის „მათემატიკოსი“ წევრების შესარჩევად სკოლამ ჩაატაროს წერა და მიღებული ქულებით შეარჩიოს უმაღლესი შედეგის მქონე მოსწავლეები;
ბ) შიდა წერების ჩატარებისას იხელმძღვანელოს STEM ოლიმპიადის მათემატიკის პროგრამით, რომელიც ატვირთულია STEM ოლიმპიადის ვებ-გვერდზე.
2. ოლიმპიადის პირველ (თეორიულ) ტურზე სკოლის გუნდიდან **ორმა მოსწავლემ ფიზიკის** დავალებები უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სკოლის გუნდში ორი „ფიზიკოსი“ მოსწავლე უნდა მოხვდეს. აღნიშნული მოსწავლეები უნდა იყვნენ მე-7 დან მე-11 კლასის ჩათვლით.
სასურველია:
ა) გუნდის „ფიზიკოსი“ წევრების შესარჩევად სკოლამ ჩაატაროს წერა და მიღებული ქულებით შეარჩიოს უმაღლესი შედეგის მქონე მოსწავლეები;
ბ) შიდა წერების ჩატარებისას იხელმძღვანელოს STEM ოლიმპიადის ფიზიკის პროგრამით, რომელიც ატვირთულია STEM ოლიმპიადის სარეგისტრაციო გვერდზე.
3. ოლიმპიადის პირველ (თეორიულ) ტურზე სკოლის გუნდიდან **ერთმა მოსწავლემ ინფორმატიკის** დავალებები უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სკოლის გუნდში ერთი „პროგრამისტი“ მოსწავლე უნდა მოხვდეს. მოსწავლე უნდა იყოს მე-7 დან მე-11 კლასის ჩათვლით.
სასურველია:
ა) გუნდის წევრის შესარჩევად სკოლამ ჩაატაროს წერა და მიღებული ქულებით შეარჩიოს უმაღლესი შედეგის მქონე მოსწავლე;
ბ) შიდა წერების ჩატარებისას იხელმძღვანელოს STEM ოლიმპიადის ინფორმატიკის პროგრამით, რომელიც ატვირთულია STEM ოლიმპიადის სარეგისტრაციო გვერდზე.
4. ა) სასურველია, შიდა წერების ბილეთების შედგენისას ყურადღება მიექცეს უფრო მეტად ღიაბოლოიან ამოცანებს, რომელთა ამოხსნებშიც გამოჩნდება მოსწავლის აზროვნება და ლოგიკური მსჯელობა;
ბ) სასურველია სკოლის შიდა წერები მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან შესაძლოა ზოგიერთმა მოსწავლემ მონაწილეობა ორ ან სამ საგანში მიიღოს, შემდეგ კი, იმ საგნით მოხვდეს სკოლის გუნდში, რომელშიც უფრო მაღალი შედეგი აიღო;
გ) სასურველია, სკოლის შიდა წერების ჩასატარებლად გამოიყოს სკოლაში სივრცე და დამკვირვებლები,



რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო გარემოს წერების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები გაივლიან ერთგვარ „რეპეტიციას“ და მზად შეხვდებიან მომავალ ოლიმპიადას;

დ) ვინაიდან, ოლიმპიადაზე გუნდის ფინალურ ტურში გადასვლის შემთხვევაში მოსწავლეებს მოუწევთ STEM დავალებების გუნდურად შესრულება და ინჟინერიაში ცოდნის დადასტურება, გუნდის შედგენისას უმჯობესი იქნება უპირატესობა მიენიჭოს (მაგალითად, შიდა შესარჩევ წერებზე დაემატოს მიღებული ქულის 10%) ისეთ მოსწავლეებს, რომლებმაც მიკროკონტროლერი Arduino-ს შესახებ უკვე იციან და გარკვეულ ცოდნასაც ფლობენ ამ მიმართულებით. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ გუნდის ფინალში გადასასვლელად მხოლოდ Arduino-ს ცოდნა მოსწავლეებს ნაკლებად დაეხმარებათ. ფინალამდე მისასვლელად გუნდის სამი წევრისთვის მათემატიკის, გუნდის ორი წევრისთვის ფიზიკის და ერთი წევრისთვის ინფორმატიკის ცოდნა საკმარისია.

მნიშვნელოვანი! - ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი არ უწევს რეკომენდაციას გუნდის წევრების შერჩევას მხოლოდ მიკროკონტროლერ Arduino-ს ცოდნის მიხედვით (პირველ თეორიულ ტურში მოსწავლეებს Arduino-ს ცოდნა არ მოეთხოვებათ). იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეებს არ ეცოდინებათ აღნიშნული მიკროკონტროლერის დაპროგრამება და მოხმარება, ფინალში გადასული გუნდების მენტორებისთვის (სადაც უკვე ამის ცოდნა მოეთხოვებათ მოსწავლეებს) ჩატარდება ინტენსიური 3 თვიანი გადასამზადებელი უფასო კურსი Arduino-ს შესასწავლად.

ე) ვინაიდან, საოლიმპიადო პროგრამები შედგენილია დაბალი კლასების (ძირითადად მე-7, მე-8) სასკოლო პროგრამის მიხედვით, შესაძლოა გუნდის შექმნისას ჩატარებულ შიდა სასკოლო წერებზე დაბალკლასელმა მოსწავლემ (მაგალითად, მეშვიდე ან მერვე კლასელმა) აჯობოს მაღალკლასელ მოსწავლეს (შესაძლოა მეთერთმეტე კლასელსაც კი). ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ასეთ შემთხვევებში სკოლებმა არ მიაქციონ ყურადღება მოსწავლეთა ასაკს და გუნდში ჩარიცხონ ის მოსწავლე (დაბალკლასელი იქნება ეს თუ მაღალკლასელი), რომელმაც შიდა შესარჩევ წერებზე უფრო მაღალი შედეგი დააფიქსირა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ: stem@komarovi.edu.ge

ან დაგვიკავშირდით: 593 33 21 03

STEM ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი წარმატებებს გისურვებთ!